უცნობი კოლექციის შესახებ

ესკიზების კოლექცია

ირმა დოლიძე

საკვანძო სიტყვები: *თეატრალური, სასცენო, ინსტიტუტი, მუზეუმი, რეპერტუარი, დეკორატიული, მხატვრობა, საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები, გაფორმება...*

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, რომელიც სხვადასხვა სახით („ინტერნაციონალური მეგობრობის კაბინეტი", „თეატრის ისტორიის კაბინეტი") 1970 წლიდან არსებობს, დაცულია ფოტო, სახვითი და ბეჭდური კოლექციები უნივერსიტეტის და, ზოგადად, თეატრისა და კინოს ისტორიის შესახებ. მათ შორისაა 1939 წლიდან დღემდე დადგმული სპექტაკლების რეპერტუარები, აფიშები, პროგრამები, ფოტოები, ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა პირადი არქივები, სამეცნიერო კვლევები და სხვ. მუზეუმში დაცულ მასალებს შორის აღსანიშნავია ესკიზების კოლექცია, რომელიც აქამდე შესწავლის საგანი არ გამხდარა და უცნობია სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავდაპირველად როგორც „სასცენო ხელოვნების" ინსტიტუტი, 1923 წელს, აკ. ფაღავას მიერ შექმნილი დრამატული სტუდიის ბაზაზე დაარსდა. თავად იყო სათეატრო ინსტიტუტის პირველი რექტორიც, სამხატვრო ხელმძღვანელი კი - კ. მარჯანიშვილი. 1926 წელს ინსტიტუტმა შეწყვიტა არსებობა და 1939 წლის 1 სექტემბერს აკ. ხორავასა და აკ. ფაღავას თაოსნობით კვლავ აღდგა. აკ. ხორავა გახდა აღდგენილი თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, აკ. ფაღავა _ პრორექტორი. 1923 წლის მსგავსად, 1939 წელსაც, თეატრალურმა ინსტიტუტმა რუსთაველის თეატრის შენობაში დაიდო ბინა. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, მუზეუმში თავმოყრილია ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების ესკიზები. შედარებით სრულადაა წარმოდგენილი 1940-იანი, 1950-იანი და 1960-იანი წლების მასალები. მომდევნო პერიოდის ესკიზები მცირე რაოდენობისაა, 1990-იანი წლების კი მხოლოდ რამდენიმე ერთეულს შეადგენს.

ესკიზების კოლექცია უკავშირდება თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო პროცესს და წარმოადგენს სამსახიობო ფაკულტეტის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ამსახველ ესკიზებს (ინსტიტუტში იდგმებოდა ერთი საკურსო სპექტაკლი III კურსზე და ორი სადიპლომო - IV კურსზე). გარდა ამისა, გვხვდება სხვადასხვა თეატრში (გრიბოედოვის სახ. თეატრი, მოზარდმაყურებელთა თეატრი, ბათუმის თეატრი და სხვ.) დადგმული სპექტაკლების დეკორაციათა და კოსტიუმების ესკიზებიც (მაგ. სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტების სპექტაკლები).

აღსანიშნავია, რომ ესკიზების ნაწილს ახლავს ანოტაციები (ისინი თეატრის ისტორიის კაბინეტის ფუნქციონირების პერიოდშია შესრულებული). ესკიზები ბეჭედდასმულია, საინვენტარო ნომრებით (ნუმერაციის ამსახველი ინვენტარიზაციის დოკუმენტი ვერ მოვიძიეთ. შტამპზე მითითებულია „რსს თეატრალური ინსტიტუტი, თ/ისტ. კაბინეტი"). სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში შტამპი უშუალოდ ფერწერულ ზედაპირზეა დასმული.

კოლექციაში დაცული ნიმუშების ქრონოლოგია გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება და 250-ზე მეტ ესკიზს აერთიანებს. ისინი შესრულებულია XX საუკუნის თეატრალურ-დეკორატიულ მხატვრობაში გამორჩეული ხელწერის მქონე ხელოვანთა მიერ: ირინე შტენბერგი, დიმიტრი თავაძე, გივი ცერაძე, ბორის ლოკტინი, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ალექსანდრე თევზაძე, აივენგო ჭელიძე, თინათინ ჰეინე და სხვ. ეს სპექტაკლები დადგმულია აკაკი ხორავას, აკაკი ფაღავას, აკაკი ვასაძის, დიმიტრი ალექსიძის,

ლილი იოსელიანის, მიხეილ თუმანიშვილის, გიგა ლორთქიფანიძის და სხვა ცნობილი მსახიობებისა და რეჟისორების მიერ. ესკიზების ნაწილზე იკითხება მათი ავტოგრაფები და სამუშაო პროცესის ამსახველი მინაწერები: „ვამტკიცებ“, „უნდა გადაკეთდეს“, „მისაღებია“ და სხვ..

ესკიზებთან ერთად, მუზეუმში დაცულია ინსტიტუტში დადგმული სპექტაკლების რეპერტუარები შესაბამისი ინფორმაციით (პრემიერის დღე, პიესის ავტორი, დამდგმელი რეჟისორი, მხატვარი, კომპოზიტორი და ა.შ). რეპერტუარის ერთი დოკუმენტი 1940-1959 წლებით თარიღდება (მასზე მითითებულია „თეატრალური ინსტიტუტის რეპერტუარი 1940 წლიდან დღემდე“). რეპერტუარში 126 სპექტაკლია შეტანილი. იწყება 1940 წლის 25 მაისს აკ. ვასაძის მიერ დადგმული სპექტაკლით „პავლე გრეკოვი“ და სრულდება კ. პატარიძის სპექტაკლით „მოხუცი“, რომლის პრემიერაც 1959 წლის 1 ივლისს შედგა. ამ დოკუმენტის გარდა, მუზეუმში ინახება „რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში დადგმული საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების აღრიცხვის ჟურნალი 1939 წლიდან“, რომელიც 1968-1969 სასწავლო წლით სრულდება. აღნიშნული დოკუმენტები უმნიშვნელოვანესი წყაროა მუზეუმის კოლექციაში დაცული ესკიზების იდენტიფიცირებისთვის. რეპერტუარების მიხედვით, ზემოაღნიშნული მხატვრების გარდა, თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლებს აფორმებენ: ირ. გამრეკელი, ს. ვირსალაძე, გ. თოთიბაძე, გ. გუნია, თ. გოცაძე, ივ. ასკურავა და სხვ. თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელია, რომ თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლების გაფორმებაზე მუშაობდნენ მხატვრები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს XX საუკუნის ქართული მხატვრობის, მათ შორის, თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის ისტორიაში.

ესკიზების ავტორებს შორის ფიგურირებენ მხატვრები, რომლებიც თეატრალურ ინსტიტუტში ათწლეულების განმავლობაში აფორმებენ საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებს. ასე მაგალითად, 1940-იან წლებში შესრულებული ესკიზები რამდენიმე მხატვარს ეკუთვნის და ისინი მომდევნო პერიოდებშიც აგრძელებენ მუშაობას: დ. თავაძე (1940-1968), ა. თევზაძე (1940-1951), ბ. ლოკტინი (1944-1966), გ. ცერაძე, (1957-1969). არიან მხატვრები, რომელთა სახელებსაც მხოლოდ ერთეული სპექტაკლების გაფორმება უკავშირდება: ი. გამრეკელი (1940), ს. ვირსალაძე (1945).

1950-იანი წლებიდან თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლებს აფორმებენ ირ. შტენბერგი (1951-1968), ფ. ლაპიაშვილი (1951-1961). განსაკუთრებით ნაყოფიერია ამ პერიოდში გ. ცერაძის მოღვაწეობა. მას ათეულობით წარმოდგენა აქვს გაფორმებული. არაერთ სპექტაკლზე მუშაობს დ. თავაძეც.

1970-იანი წლების ესკიზებიდან კოლექციაში მხოლოდ ორიოდ ნიმუშია დაცული. 1980-იანი წლების ესკიზები ვერ მოვიძიეთ (შესაძლოა, ჯერ არ არის იდენტიფიცირებული). 1990-იანი წლების რამდენიმე სპექტაკლის ესკიზი კი თ. ჰეინეს (1994-1999) ეკუთვნის.

მუზეუმის კოლექციის შესწავლა მნიშვნელოვანია ამ მხატვრების შემოქმედების სრულფასოვნად წარმოჩენისთვისაც.

აღსანიშნავია, რომ ესკიზების ნაწილს ახლავს თეატრალური ინსტიტუტის რექტორის, ან/და დამდგმელი რეჟისორის, ან/და მხატვრის ხელმოწერები, თარიღი. ზოგჯერ შეფასებითი ხასიათის მინაწერები, ზოგჯერ ყველაფერი ერთად და ზოგჯერ საერთოდ არაფერი. ამით, კოლექციის ფასეულობა კიდევ უფრო იზრდება. ერთი მხრივ, ჩვენს ხელთაა XX საუკუნის სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები და, მეორე მხრივ, ამავე ნიმუშებზე შემორჩენილია ქართული სათეატრო ხელოვნების ცნობილ მოღვაწეთა (რეჟისორები, მხატვრები, მსახიობები) ავტოგრაფები. ხშირად გვხვდება აკ. ხორავას დ. ალექსიძის, მ. კვესელავას, ლ. კიკნაძის, ი. თავაძის ხელმოწერები. ყველა მათგანი სხვადასხვა დროს თეატრალური ინსტიტუტის რექტორი იყო (1939-1973 წლებში), რაც ცხადყოფს საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებზე მუშაობის მნიშვნელოვნებას.

მუზეუმის ესკიზების კოლექცია ქართული სცენოგრაფიის ისტორიის ერთგვარ ექსკურსსაც გვთავაზობს. მასში ცხადადაა ასახული XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები და

მხატვრული ტენდენციები. „1930-1940-იანი წლების ქართულ სასცენო მხატვრობაში სულ უფრო იჩენს თავს ფერწერული დეკორაციებით გატაცება. ესაა პერიოდი, როდესაც მხატვრები, საბჭოთა იდეოლოგიური ზეწოლის გამო, უარს ამბობენ კონსტრუქტივიზმზე. ამიერიდან ის მოდერნისტულ-ფორმალისტურ მიმდინარეობად ცხადდება და საკმაოდ მკაცრად იდევნება. ესაა რეალიზმის პრინციპების განმტკიცების ხანა. თეატრში რეალიზმი ზოგჯერ ნატურალიზმშიც გადადიოდა, რაც, თავის მხრივ, თეატრალური ხელოვნების პირობითობის გაუთვალისწინებლობას იწვევდა, ზღუდავდა მას და გარკვეულ ჩარჩოში აქცევდა. ამიერიდან სასცენო სივრცე ორგანზომილებიანი დაზგური ფერწერის ნიმუშის პრინციპით იგება და სცენის კოლოფში „ჩასმული“ სურათის შთაბეჭდილებას ახდენს. სპექტაკლის გაფორმებაში დაწვრილებითი თხრობითობისკენ, დაკონკრეტებისკენ სწრაფვამ იმძლავრა, იმატა ყოფითმა ელემენტებმა, დეტალიზაციამ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ თეატრში იმხანად მომუშავე მკვეთრი ინდივიდუალურობით და შემოქმედებითი ხელწერით გამორჩეული მხატვრები ცდილობენ, თავი დააღწიონ „ზედმეტ ნატურალიზმს“ და შეინარჩუნონ ამ ხელოვნების სპეციფიკურობა, მისი სამეტყველო ენის პირობითობის ხარისხი, ისინი მაინც ვერ ასცდნენ დროით მოტანილ იდეოლოგიურ მოთხოვნებს. ამ პერიოდში თეატრში აგრძელებს მოღვაწეობას 1920-იანი წლების ბოლოდან მოსულ გამოჩენილ მხატვართა მთელი პლეადა: ე. ახვლედიანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, თ. აბაკელია, ს. ვირსალაძე, ს. ქობულაძე, ი. შარლემანი, მ. გოცირიძე, კ. სანაძე, ი. შტენბერგი, დ. თავაძე, ა. თევზაძე.“[1]

1940-იანი წლების სპექტაკლების დიდი ნაწილი თეატრალურ ინსტიტუტში სწორედ დ. თავაძისა და ა. თევზაძის მიერაა გაფორმებული.

კოლექციის უადრესი ნიმუშები დ. თავაძეს ეკუთვნის. ეს არის 1940 წელს აკ. ვასაძის მიერ დადგმული სპექტაკლისთვის - ბ. ვოიტეხოვის, ლ. ლენჩის „პავლე გრეკოვი“, შექმნილი ესკიზები. ცხრავე მათგანი დეკორაციის ესკიზია დ. თავაძის და აკ. ხორავას ავტოგრაფებით **(სურ.1).**

რეპერტუარის რიგით მეორე სპექტაკლის - ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (რეჟ. კ. პატარიძე) - მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ირ. გამრეკელს. სწორედ მისი სახელია მითითებული სპექტაკლების აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა რეპერტუარის მეორე დოკუმენტში მხატვრის გრაფა ცარიელია და პრემიერის თარიღიც გადაშლილი. ვერ მივაკვლიეთ ამ სპექტაკლის ეკიზებსაც. თავისთავად ის ფაქტი, რომ ირ. გამრეკელი თეატრალური ინსტიტუტის აღდგენის საწყისებიდანვე მონაწილეობს სასწავლო სპექტაკლების გაფორმებაში – მრავლისმთქმელია. მეტად მისი სახელი რეპერტუარში აღარ გვხვდება (მხატვარი გარდაიცვალა 1943 წელს). დ. თავაძე და ა. თევზაძე კი აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის სასწავლო-შემოქმედებით ცხოვრებაში, მათ მიერ გაფორმებული არაერთი სპექტაკლის ესკიზია დაცული მუზეუმში.

აღდგენილი თეატრალური ინსტიტუტის პირველ სასწავლო წელს (1939-1940) დადგმული სამი სპექტაკლიდან ბოლოა: ი. ჭავჭავაძის „მაჭანკალი“ (1940. რეჟ. აკ. ვასაძე). მხატვარი ა. თევზაძე. კოლექციაში სპექტაკლის შვიდი ესკიზია. სავარაუდოდ, მხატვარმა ესკიზების რამდენიმე ვარიანტი შექმნა. ნაწილზე მითითებულია – I, ნაწილზე კი II ვარიანტი. მუზეუმში, ასევე, ინახება ამავე სპექტაკლის აკვარელში შესრულებული ესკიზები. ისინი მსგავსებასთან ერთად (კომპოზიცია, იდენტური დეტალები), განსხვავებულია ფერწერული გადაწყვეტით, სივრცის ორგანიზების პრინციპით. მიუხედავად იმისა, რომ ესკიზები ავტოგრაფების გარეშეა, ყველა მათგანი, სავარაუდოდ, ერთ მხატვრს უნდა ეკუთვნოდეს. „მაჭანკალი“ რეპერტუარის მიხედვით აღარ განხორციელებულა (1968-69 სასწავლო წლის ჩათვლით). ეს გარემოება ამყარებს ჩვენს მოსაზრებას სპექტაკლისთვის ესკიზების სხვადასხვა ვარიანტისა და ერთი ავტორის შესახებ.

1946 წლით თარიღდება საკურსო სპექტაკლისთვის - ჯ. სინგის „გმირი“ - შესრულებული ესკიზი (1947. რეჟ. ს. ჭელიძე), მხატვარი დ. თავაძე.

რეჟისორი სერგო ჭელიძე საქართველოს სხვადასხვა თეატრებში მოღვაწეობდა, 1944-1948 წლებში

1 თუმანიშვილი, რუსთაველის თეატრი, 2015

კი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრშია. სწორედ ამ პერიოდშია დადგმული სპექტაკლიც. დ. თავაძე კი, რომელმაც 1930 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია (ფერწერისა და გრაფიკის მიმართულებით), იმ დროისათვის რუსთაველის თეატრის მხატვარია. 1948 წლიდან ამავე თეატრის მთავარი მხატვარი, 70-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე (1990) კი დამდგმელი მხატვარი.

გასათვალისწინებელია, რომ თეატრალური ინსტიტუტის რექტორი აკ. ხორავა, ამავდროულად, რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი ხელმძღვანელია 1935 წლიდან. (1949-1955 წლებში - დირექტორი). თეატრალურ ინსტიტუტში კი არაერთ სპექტაკლზე მუშაობენ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული - რუსთაველის თეატრის რეჟისორები და მხატვრები.

მუზეუმში დაცული ესკიზების მიხედვით, ინსტიტუტში დ. თავაძეს გაფორმებული აქვს სპექტაკლები 1940-1968 წლებში. მათი რაოდენობა სამ ათეულს აღემატება. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა 50-იან წლებში. ასე მაგ., 1950-1955 წლებში შექმნილი აქვს ესკიზები ორი ათეული სპექტაკლისთვის. კოლექციაში დაცულია მხატვრის მიერ 1950-იან წლებში შესრულებული ესკიზები სპექტაკლებისთვის: ა. ცაგარელის „ხანუმა“ (1952. რეჟ.: აკ. ვასაძე, აკ. დვალიშვილი); პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ (1953. რეჟ.: ო. გვიჩია, გ. სებისკვერიძე); უ. შექსპირის „მეთორმეტე ღამე“ (1955. რეჟ. დ. ალექსიძე); ჟან პოლ სარტრის „ლიზი მაკ'კეი“ (1956. დადგმა: ლ. მირცხულავა, გ. ჟორდანია, კ. ღლონტი, ნ. გაჭავა, რ. კაცია, თ. მესხი, ვ. რცხილაძე, ა. ნინუა, შ. გაწერელია, ნ. მჭედლიძე. ეს სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის საკურსო სპექტაკლი იყო. ესკიზებთან ერთად, ყურადღებას იქცევს ფანქრით შესრულებული ქალაქის ხედების ჩანახატები); **(სურ.2)** ა. შირვანზადეს „პატიოსნებისთვის“ (1955. რეჟ. ა. გამსახურდია. არატიპურია სპექტაკლისთვის შექმნილი ესკიზები, უკანა სიბრტყეზე დეკორაციის ამსახველი იმავე კომპოზიციის ფანქრით შესრულებული ვარიაციებით); ა. ცაგარელის „ციმბირელი“ (1956. რეჟ. კ. პატარიძე. პიესა დაიდგა 1948 წელსაც. მხატვარი ამ შემთხვევაშიც დ. თავაძე იყო). ეს ესკიზები დ. თავაძის მიერ ინსტიტიტში გაფორმებული სპექტაკლების მხოლოდ ნაწილია. ექვს ათეულ წელზე მეტი იმუშავა დ. თავაძემ (1911-1990) რუსთაველის თეატრში. იყო ერთ-ერთი წამყვანი მხატვარი. 150-ზე მეტი სპექტაკლი აქვს გაფორმებული სხვადასხვა თეატრში. მათ რიცხვში არ შედის თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული წარმოდგენები. იგი თანამშრომლობდა ქართული თეატრის თითქმის ყველა ცნობილ რეჟისორთან.

დ. თავაძესთან ერთად თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლებს აფორმებს მხატვარი ა. თევზაძე. მისი მოღვაწეობა აქ 1940-1951 წლებს მოიცავს და აღდგენილი ინსტიტუტის საწყისებს უკავშირდება. ამ პერიოდში ა. თევზაძემ შვიდი სპექტაკლი გააფორმა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ 1940 წელს დადგმული ი. ჭავჭავაძის „მაჭანკალი“. ამავე წელსაა შესრულებული ესკიზები სპექტაკლისთვის ა. ოსტროვსკის „ნიჭიერნი და თაყვანისმცემელნი“ (პრემიერა შედგა 1941 წ.. რეჟ. დ. ალექსიძე). მუზეუმში დაცულია სადიპლომო სპექტაკლისთვის შესრულებული სამი - დეკორაციის, ექვსი კი ტიპაჟებისა და კოსტიუმების ამსახველი ესკიზი. აღნიშნული ნიმუშები ათვალსაჩინოებს ა. თევზაძის ხელწერას და მოქმედ გმირთა სახასიათო სახეების შექმნის ოსტატობას (ესკიზები ხელმოუწერელია). იდენტურია მიდგომა 1941 წელს დადგმულ სპექტაკლში ვ. გუნიას „ადვოკატთან“. მუზეუმში დაცული რვა ესკიზიდან მხოლოდ ერთია დეკორაციის, დანარჩენი პერსონაჟებს ასახავს. ძუნწი, მაგრამ გამომსახველი ხერხებით, მხატვარი გმირების მკვეთრად გამოხატულ სახასიათო სახეებს ქმნის **(სურ.3)**. რეალისტურად გადმოცემულ გარემოსა და დეტალებზე აქცენტირებით ხასიათდება აკ. ვასაძის მიერ დადგმული სპექტაკლისთვის - გ. ერისთავის „დავა“ - შესრულებული ესკიზები (1941). ფაქიზი და ამავდროულად ჟღერადი კოლორიტით გამორჩეული ეს ნიმუშები ტიპურია ა. თევზაძის ხელწერისთვის.

ბორის ლოკტინის სახელს უკავშირდება 1944-1952 წლებში შესრულებული ათამდე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება (რეპერტუარის მიხედვით მას 18 სპექტაკლზე უმუშავია). მუზეუმში ინახება მხატვრის მიერ შესრულებული ესკიზები სპექტაკლებისთვის: ა. არბუზოვის, ა. გლადკოვის „უკვდავი“ (1944. რეჟ. დ. ალექსიძე); მ. გორკის „უკანასკნელნი“ (1946. რეჟ. დ. ალექსიძე. დაცულია დეკორაციის ორი

ესკიზი და ერთიც პერსონაჟთა ჯგუფური გამოსახულებით. ეს მრავალფიგურიანი კომპოზიცია 12 ინდივიადუალური, მკაფიოდ გამოხატული ხასიათის მქონე გმირს აერთიანებს. დეტალურადაა გადმოცემული კოსტიუმები, აქცენტირებულია ფიგურათა სახასიათო პლასტიკა. მრავალრიცხოვანი ავტოგრაფები და რეზოლუციები ახლავს დეკორაციის ესკიზსაც: „მხატვარი ლოკტინი", „ესკიზი ჩემი აზრით მისაღებია დ. ალექსიძე", „ამხ. ელიბ. ვამტკიცებ. ხარჯთაღრიცხვა წარმომიდგინეთ 8/X-სთვის. აკ. ხორავა", „სასწავლო წელი. პირველი წარმოდგენა"); **(სურ.4);** პ. ბომარშეს **„**ფიგაროს ქორწინება" (1947. რეჟ. დ. ალექსიძე. სპექტაკლი განმეორებით დაიდგა 1951 წელს); ი. .იალუნერის „საამო საზრუნავი" (1949. რეჟ. ალ. მიქელაძე); კ. სიმონოვის „სხვისი ჩრდილი" (1949. რეჟ. აკ. ვასაძე); ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავე" (1950. რეჟ. დ. ალექსიძე); ბ. ლავრენევის „ამერიკის ხმა" (1950. რეჟ. აკ. ფაღავა).

ბორის ლოკტინის (1905-1980) შემოქმედებითი მოღვაწეობა უმეტესწილად ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრს უკავშირდება. 1938 წლიდან იგი ამ თეატრის მხატვარ-დეკორატორია. თეატრალური ინსტიტუტის აღდგენისთანავე (1939) ბ. ლოკტინი ინსტიტუტში მხატვარ-დეკორატორად მუშაობს. მხატვარმა აქ ათეულობით სპექტაკლი გააფორმა. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა, ასევე, მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრთან. ზემოთ აღნიშნული მხატვრებისგან განსხვავებით, მხოლოდ ბ. ლოკტინის ბიოგრაფიაში ვხვდებით თეატრალურ ინსტიტუტში მოღვაწეობის აღნიშვნის ფაქტს.

1950-იანი წლებში ბ. ლოკტინთან ერთად თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლების გაფორმებაზე მუშაობენ ირ. შტენბერგი და ფ. ლაპიაშვილი. რაოდენობრივად, ყველაზე მეტი სპექტაკლი ამ პერიოდში გ. ცერაძეს აქვს გაფორმებული.

რეპერტუარის მიხედვით ი. შტენბერგს არაერთი წარმოდგენა აქვს ინსტიტუტში გაფორმებული. კოლექციაში დაცულ ესკიზებს შორის მხატვარს ეკუთვნის: ტ. და ი. პირიევების „ლუტონინის ოჯახი" (1951) და ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი" (1951) სპექტაკლებისთვის შესრულებული ესკიზები **(სურ.5, 6).** ორივე სპექტაკლის დამდგმელია ა. ხორავა. ესკიზებს ახლავს ირ. შტენბერგისა და აკ. ხორავას ავტოგრაფ**ები.** სპექტაკლისთვის „ლუტონინის ოჯახი" მხატვარმა დეკორაციის ესკიზებთან ერთად, შექმნა მოქმედ გმირთა ამსახველი 14 ჩანახატი.

ირ. შტენბერგს (1903-1985) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სცენოგრაფიის ისტორიაში. 1930-იანი წლებიდან ის აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა თეატრთან, უმეტესწილად ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრთან და თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრთან. გაფორმებული აქვს სამასზე მეტი დადგმა. მათ რიცხვში არ შედის თეატრალურ ინსტიტუტის სპექტაკლები. მხატვარი აქ 1951 წლიდან მოღვაწეობს. სპექტაკლებს აფორმებს 1952, 1954, 1957, 1963 და 1968 წლებში. ინსტიტუტის რეპერტუარის შესაბამისად, ირ. შტენბერგს აქ 14 სპექტაკლი აქვს გაფორმებული. მისი ნამუშევრები დაცულია მხატვრის ოჯახში, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და კულტურის ისტორიის მუზეუმის არქივებში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. ამიერიდან მათ რიცხვს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიც შეუერთდება.

1950-იან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლებს აფორმებს ფარნაოზ ლაპიაშვილი (1917-1994). ამ დროისათვის ის უკვე მრავალმხრივი და ფართო დიაპაზონის მხატვარია. მუშაობს დრამატულ, საოპერო თეატრებში. აფორმებს საბალეტო სპექტაკლებს, კინოფილმებს („ქეთო და კოტე» (1948), „მაგდანას ლურჯა" (1955), „ცისკარა" (1955), „რაც გინახავს ვეღარ ნახავ» (1965) და სხვ.).

რეპერტუარის მიხედვით, თეატრალურ ინსტიტუტში ფ. ლაპიაშვილს 1951-1961 წლებში რვა სპექტაკლი აქვს გაფორმებული. მათგან კოლექციაში დაცულია 1951-1954 წლებში დადგმული სპექტაკლების ესკიზები. კერძოდ, ა. აფინოგენოვის „მაშენკა" (1951. რეჟ. ა. დვალიშვილი). დეკორაციის სამი ესკიზიდან ერთი ფანქრითაა შესრულებული, რაც ფ. ლაპიაშვილის ერთგვარ მახასიათებლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ფანქრითაა შექმნილი ესკიზები სპექტაკლებისთვის მ. გორკის „უკანასკნელნი" (1953. რეჟ. დ. ალექსიძე). ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა" (1954, რეჟ. აკ. ვასაძე) **(სურ.7).** ა. ოსტროვსკის „დაგვიანებული სიყვარული" (1954. რეჟ. დ. ალექსიძე. მხატვრისეული გადაწყვეტა ამ ესკიზებში (1950-იანი წლები) მოკლებულია სცენურ პირობითობას.

დეტალიზებული გარემო მაყურებელს თხრობისა და რეალური სივრცის განცდას უჩენს. ფერში შესრულებულ ესკიზებში კი დინამიკურ მონასმთან შეჯერებული დეკორატიულობისკენ სწრაფვის ტენდენცია იჩენს თავს.

ფ. ლაპიაშვილს ასზე მეტი სპექტაკლი აქვს გაფორმებული საქართველოსა და სხვა ქვეყნების თეატრებში. თეატრალურ ინსტიტუტში შექმნილი ესკიზებიც ამ გამორჩეული ხელოვანის მრავალმხრივი შემოქმედების განუყოფელ ნაწილად უნდა მოვიაზროთ.

კოლექციაში დაცულ ესკიზებს შორის რაოდენობრივად ყველაზე მეტი გ. ცერაძეს (1931-1987) ეკუთვნის. ინსტიტუტის რეპერტუარში 1957-1969 წლებში დადგმული წარმოდგენების უდიდესი ნაწილი მის მიერაა გაფორმებული. ჯამში ეს 81 სპექტაკლია. ვინაიდან სპექტაკლების აღრიცხვის ჟურნალი 1968-1969 სასწავლო წლით სრულდება, ეს მონაცემებიც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს გ. ცერაძის ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდს. სრულიად ახალგაზრდა მხატვარი, რომელმაც 1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი, 1957 წელს თეატრალურ ინსტიტუტში აფორმებს თავის პირველ სპექტაკლს - „ჯარისკაცის გული“ (რეჟ. აკ. ხორავა). აქედან მოყოლებული 22 წლის განმავლობაში გ. ცერაძე ინსტიტუტის მხატვარ-დეკორატორია (1979 წლამდე). პარალელურად მუშაობდა მოზარდმაყურებელთა რუსულ თეატრში მთავარ მხატვრად (1961-1974). გაფორმებული აქვს სპექტაკლები კ. მარჯანიშვილის და ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრებში, ცხინვალის თეატრში.

მუზეუმის კოლექციაში დაცულია გ. ცერაძის მიერ თეატრალურ ინსტიტუტში გაფორმებული შემდეგი სპექტაკლების ესკიზები: ა. ცაგარელის „ციმბირელი“ (1957. რეჟ. ა. ხორავა); ა. კრონინის „იუპიტერი იცინის“ (1958. რეჟ. ა. მიქელაძე); მოლიერის „ძალად ექიმი“ (1957. რეჟ. კ. პატარიძე); მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“ (1958. რეჟ. ა. თავზარაშვილი. ერთ-ერთ ესკიზზე დ. ალექსიძის საინტერესო რეზოლუციას ვეცნობით: „დამტკიცდეს. მხოლოდ მეორე მოქმედება გადაკეთდეს. სურათი უნდა გადაწყდეს ვერტიკალში დეკორაციები შესრულდეს ზუსტად...ესკიზების მიხედვით... ფერწერის მანერაში., დ. ალექსიძე 19 30/IV 58.“); მ. გორკის „მზის შვილები“. სპექტაკლი დაიდგა: 1950 წელს (რეჟ. დ. ალექსიძე, მხ. ბ. ლოკტინი). ასევე, 1958 (რეჟ. ა. გამსახურდია) და 1960 (რეჟ. ა. მიქელაძე) წლებში. ორივე სპექტაკლის მხატვარია გ. ცერაძე; ვ. ჰიუგოს „ანჟელო“ (1958. რეჟ. ა. ხორავა); ჯ. პრისტლის „საუნჯე“ (1958. რეჟ. გ. ლორთქიფანიძე); ა. ჩეხოვის „დათვი“ (1959. რეჟ. აკ. ფაღავა); მ. გორკის „მოხუცი“ (1959. რეჟ. კ. პატარიძე); ა. წერეთელის „ბუტიაობა“ (1959. რეჟ. ა. ფაღავა); ა. მილერის „სეილემის პროცესი“ (1960. რეჟ. ა. მიქელაძე); **(სურ. 8);** ა. ფრანსის „მუნჯი ცოლი“ (1959. რეჟ. ა. ფაღავა); პ. კალდერონის „სიყვარულთან არ ხუმრობენ“ (1960. რეჟ. გ. ღვინიაშვილი); ო. ჩიჯავაძის „თხუნელა“ (1960. რეჟ. აკ. ვასაძე); პ. მერიმეს „ცა და ჯოჯოხეთი“ (1960. რეჟ. ა. Fფაღავა) და ა.შ.

ამრიგად, 1940-1960-იან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში სპექტაკლებს აფორმებენ: დ. თავაძე, ირ. გამრეკელი, ა. თევზაძე, ბ. ლოკტინი, ს. ვირსალაძე, ფ. ლაპიაშვილი, ირ. შტენბერგი, ივ. ასკურავა. გ. თოთიბაძე, გ. ცერაძე, თ. გოცაძე, ე. დონცოვა, ა. ჯემილიშვილი, გ. გუნია, თ. სამსონაძე. რეპერტუარის მიხედვით, სასწავლო სპექტაკლებზე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებიც მუშაობენ.

მუზეუმში დაცული საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებისთვის შექმნილი ესკიზები რაოდენობრივად, ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდი მოცულობის მასალაა. კოლექცია კვლევის პროცესშია. ამიტომ წარმოდგენილი მხატვრების რიცხვს შესაძლოა დაემატოს ახალი სახელები ან უკვე ცნობილი მხატვრების შემოქმედება შეივსოს ახალი ნამუშევრებით. ამ კოლექციის მნიშვნელობა ქართული სცენოგრაფიის ისტორიისათვის იმაშიც მდგომარეობს, რომ მხატვართა შემოქმედება, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულითაა შესწავლილი, აღნიშნულ მასალას არ მოიცავს. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა საშური საქმეა. ფასეულია იგი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის რეკონსტუქციისთვისაც. მისი, როგორც უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლის, საუკეთესო გამოცდილებისა და ტრადიციების გააზრება-გაზიარებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბელაშვილი თ., XX საუკუნის II ნახევრის ქართული სცენოგრაფიის მხატვრული მახასიათებლები რუსთაველის თეატრის დადგმების მიხედვით, რუსთაველის თეატრის სცენოგრაფია 1950-2000, თბილისი, 2019, გვ.7-36
- დარჩია ქ., ირინე შტენბერგი, 2014, http://feminism-boell.org/ka/2014/06/06/irina-shtenbergi
- ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს რუსი მხატვრები XX საუკუნე, თბილისი, 2007
- თუმანიშვილი ე., შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები), "ARS GEORGICA", ელექტრონული ჟურნალი, 2015 http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/177--xx-20-40-.html
- ციციშვილი მ., ჭოღოშვილი ნ., ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბილისი, 2013
- ციციშვილი მ., თეატრის მხატვრობა 1920-1950, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2008
- ჭოღოშვილი ნ., თეატრის მხატვრობა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექცია, თბილისი, 2006
- Русский театр в Грузии 170, Тбилиси, 2015



1. დ. თავაძე, ბ. ვოიტეხოვი, ლ. ლენჩი, „პავლე გრეკოვი“, დეკორაციის ესკიზი, ქ. ფ. გუაში, 19,5X24,5. 1940
D. TAVADZE. B. VOITEKHOV, L. LENCH, “PAVEL GREKOV”, STAGE DESIGN, PAPER, PENCIL, GOUACHE, 19,5X24,5. 1940

2. დ. თავაძე, ჟან პოლ სარტრი, „ლიზი მაკ’კეი“, დეკორაციის ესკიზი, ქ. აკვ., 29X40,5. 1956
D. TAVADZE . JEAN-PAUL SARTRE ‘’LIZZIE MACKAY’’, STAGE DESIGN, PAPER, WATER-COLOR, 29X240,5. 1956

3. ა. თევზაძე, ვ. გუნია, „ადვოკატთან“, კოსტიუმის ესკიზი, ქ. ფ.. აკვ., 31X22. 1941
A. TEVZADZE, V. GUNIA, ‘’THE LAWYER’’, COSTUME DESIGN, PAPER, WATER-COLOR, 31X22.. 1941

4. ბ. ლოკტინი, მ. გორკი, „უკანასკნელნი“, დეკორაციის ესკიზი, ქ. აკვ. 21X36. 1946
B. LOKTIN, M. GORKY, “THE LAST’’, STAGE DESIGN, PAPER, WATER-COLOR, 21X236. 1946



5. ირ. შტენბერგი, ტ. და ი. პირიევები, „ლუტონინის ოჯახი“, ქ. ფ. 30X17. 1951
I. STENBERG. T. AND I. PIRIEV, ''THE LUTONIN FAMILY'', PAPER, PENCIL, 30X17. 1951



6. ირ. შტენბერგი, ალ. კორნეიჩუკი, „პლატონ კრეჩეტი“, დეკორაციის ესკიზი, მ. შერეული ტექნიკა, 28X35,5. 1951
I. STENBERG. AL. KORNEICHUK, ''PLATON KRETCHET'' STAGE DESIGN, MIXED MEDIA ON CARDBOARD. 28X35,5. 1951

7. ფ. ლაპიაშვილი, ვ. გაბესკირია, „გაზაფხულის დილა", დეკორაციის ესკიზი, ქ. ფ. 30X42 1954
P. LAPIASHVILI, V. GABESKIRIA, ''THE SPRING MORNING'', STAGE DESIGN, PAPER, PENCIL, 30X242. 1954



8. გ. ცერაძე, ა. მილერი, „სეილემის პროცესი", დეკორაციის ესკიზი, ქ. შერეული ტექნიკა, 31X43. 1959
G. TSERADZE. A. MILLER "THE SALEM TRIAL", MIXED MEDIA ON PAPER, 31X43. 1959

ON AN UNKNOWN COLLECTION COLLECTION OF SKETCHES

Irma Dolidze

Illustrations: *pp.213-216*

The museum of Shota Rustaveli State University of Theater and Cinema, which has changed names repeatedly since inception in 1970 (the International Friendship Office, the Theater History Office), houses collections of photos, print materials, and paintings depicting the history of the university, theater and cinema. There are programs and posters of plays staged since 1939, repertoires, photos, personal archives of prominent artists, studies, and the like. Among the exhibits is a collection of sketches unknown to experts and the public at large to this day.

Shota Rustaveli State University of Theater and Cinema originally, named as the Institute of Performing Arts, was founded at A. Pagava's (a Georgian theater director) drama studio in 1923. A. Pagava and celebrated theater director K. Marjanishvili were its first rector and artistic director, respectively. In 1926, the institute closed down but, through the efforts of A. Khorava (an outstanding actor of the time) and A. Pagava, was restored on September 1, 1939. The two were appointed rector and the vice-rector, respectively. The Institute was housed in Rustaveli Theater in 1923 and 1939, when the sketches of plays staged at the institute and displayed in the museum originated. Materials of the 1940s, 1950s, and 1960s are relatively comprehensive. There are but a few sketches of the subsequent period and only several dozen dating back to the 1990s.

The sketches depict the theatricals of term and graduation plays by the students of the institute's department of acting. Junior and senior students used to stage one term and 2 graduation plays, respectively. Besides, there are sketches of the stage setting and costumes of plays by the institute's directing department students at Griboyedov, Youth, Batumi, and other theaters.

Some of the sketches have annotations likely made when the museum was referred to as the Theater History Office. They bear stamps and identification numbers (We failed to find the inventory document. The inscription on the stamp says: "Rustaveli State Drama Theater, the Theater History Office"). Unfortunately, not infrequently, the stamps were set on the sketches themselves.

Over 250 sketches of the collection dating back to 1940s were made by some of the distinguished set designers, such as Irene Stenberg, Ms. Tinatin Heine, Messrs. Dimitry Tavadze, Givi Tseradze, Boris Loktin, Parnaoz Lapiashvili, Alexander Tevzadze, Ivenho Chelidze, and others. As to the plays, they were staged by prominent Georgian theater directors and actors like Akaki Khorava, Akaki Vasadze, Akaki Pagava, Dimitry Alexidze, Michael Tumanishvili, Giga Lortkipanidze, Ms. Lili Ioseliani, and others. On some of the sketches we see their autographs, the words "approved," "to be altered", "acceptable," and so on.

The museum also displays repertoires and information concerning plays staged at the institute (premiere dates, names of playwrights, producers, designers, composers, and the like). The document named the Repertoire of the Theatrical Institute, dated 1940-1959, lists 126 plays. A. Vasadze's *Pavel Grekov*, premiered on May 25, 1940, and K. Pataridze's *The Old Man*, premiered presented on July 1, 1959, are at the top and bottom of the list. The museum also preserves the Register of the Term and Graduate Plays Staged at the Tbilisi Rustaveli Theatrical Institute since 1939, which lists all pieces up to the 1968-1969 academic years. The two documents are very important for identifying the collection of sketches preserved at the museum. Apart from the artists above, Irakli Gamrekeli, S. Virsaladze, G.Totibadze, G. Gunia, T. Gotsadze, Iv. Askurava, and others designed plays staged at the institute. Those were the top artists whose contributions to arts are invaluable, especially when it comes to the 20th-century Georgian scenic design.

Some authors of sketches were, for years, set designers for term and graduate plays staged at the The-

atrical Institute. For instance, sketches in the 1940s were made by several artists who continued working in the field: D. Tavadze (1940-1968), A. Tevzadze (1940-1951), B. Loktin (1940-1966), G. Tseradze (1957-1969). Unlike them, the greats like S. Virsaladze or Irakli Gamrekeli worked on just a handful of plays.

From the 1950s, the stage design at the Theatrical Institute was made by. I. Stenberg (1951-1968), P. Lapiashvili (1951-1971) and, especially, G. Tseradze who designed dozens of plays. D. Tavadze's artistic works are equally noteworthy.

In the collection there are only two sketches from the 1970s and none from the 1980s (or maybe they have not been identified yet). Several sketches for from the 1990s (1994-1999) were made by T. Heine.

Investigation of the collection is important in terms of a comprehensive study of those artists.

Some of the sketches are dated and signed by the institute's rector, the producer, or the artist. Occasionally, we see appraisal notes, sometimes all or none of the above. All these add up to the value of the collection. On one hand, these are artworks created at various times by a group of prominent set designers of the 20th century, and the autographs of distinguished directors, scene designers and actors, on the other. The signatures of A. Khorava, D. Alexidze, M. Kveselava, L. Kiknadze,, and I. Tavadze are recurrent. All of them were rectors of the Theatrical Institute at various times (1939-1973) and continued working on scenic designs of the term and graduation productions.

The collection of sketches kept in the museum allows us to look into the history of the Georgian scenography for it depicts the artistic trends prevalent in 20th century. "The Georgian scenic design of the 1930s and 1940s exhibits a keen interest in the scene painting. At that time, because of Soviet ideological restrictions, artists had to give up constructivism condemned as modernist and formalistic and forcedly replaced with Realism that quite often turned into Naturalism neglecting conventionality of the theatrical art and putting constraints on it. Since then, stage design, similar to easel painting, becomes two dimensional and makes the impression of a painting boxed into the stage. Stage design inclines toward concreteness, a kind of a detailed narrative about a daily routine. For all talented artists' efforts to preserve their individuality, avoid "excessive naturalism" and keep up the specific characteristics of the theatrical art, and retain its conventionality, they had to acquiesce to ideological requirements. A group of talented artists, such as E. Akhvlediani, D. Kakabadze, L. Gudiashvili, T. Abakelia, S. Virsaladze, S. Kobuladze, I. Charlemagne, M. Gotsiridze, K. Sanadze, I. Stenberg, D. Tavadze and A. Tevzadze, who got involved with the theater in the late 1920s, still worked there at the time."[1] Most productions in eth 1940s were designed by D. Tavadze, and A. Tevzadze.

The earliest works of the collection, sketches made for *Pavel Grekov*, a play by B. Voitekhov and L. Lench directed by A. Vasadze, belong to D. Tavadze. All nine of them are set sketches bearing the signatures of D. Tavadze and A. Khorava (ill.1).

I. Gamrekeli made the scenic design for *You'll not See What You Have Seen Anymore*, a play by Al. Tsagareli produced by K. Pataridze. His name is found in the registry but missing from the other repertoire document, along with a missing premiere date. We were unable to find the sketches either. The fact that I. Gamrekeli made scenic design of students' productions since the restoration of the Theatrical Institute is very informative. Later on, there is no mention of him anymore (the artist died in 1943). As for D. Tavadze and A.Tevzadze, they continued working on students productions, with a number of their sketches preserved in the museum.

Among the three plays staged at the Theatrical Institute in the first academic year (1939-1940), *The Matchmaker*' by I. Chavchavadze was the last (1940, director A.Vasadze, scenic designer A. Tevzadze,). There are seven sketches of the production in the collection. The artist must have made several drafts because some of them are numbered as *I* and others as *II*. There are also some watercolor sketches of the same production in the museum. In some ways (composition, identical details), they are similar, but they differ in terms of artistry and arrangement of space. Although they are not signed, all of them must have been made by the same artist. Documents reveal that *The Matchmaker*' was never staged (in the 1968-69 academic year), which confirms our assumption concerning various drafts of the sketches by the same artist.

1 თუმანიშვილი, რუსთაველის თეატრი, 2015

The sketch made for *The Hero* by J. Singh, a term production directed by S. Chelidze (1947) (scenic designer D. Tavadze,), it is dated 1946.

Director Sergo Chelidze, worked at Rustaveli State Theater in 1944-1948, among theaters in Georgia. The play was performed around that time. As to D.Tavadze, a 1930 graduate of the Tbilisi Academy of Fine Arts (painting and graphics), he was also engaged with Rustaveli Theater at the time. In 1948, he was appointed chief set designer, serving as artistic director from the 1970s until his death in 1990.

A. Khorava, the rector of the Theatrical Institute from 1935, was also among the administration of Rustaveli Theater (serving director in 1949-1955). Some of the most prominent directors and scenic designers of Georgia's leading Rustaveli Theater worked on a number of Theatrical Institute productions.

Judging by the sketches preserved at the museum, in 1940-1968 Mr. D. Tavadze designed over 30 productions for the institute. The artist was most prolific in 1950's; for instance, in 1950-1955, he made sketches for 20 plays. Among his works from 1950's there are sketches made for the plays *Khanuma* by A. Tsagareli (1952, directors A. Vasadze and A. Dvalishvili,), *Kvarkvare Tutaberi* by P. Kakabadze (1953, directors O. Gvichia and G. Sebiskveridze), *The Twelfth Night* by Shakespeare (1955, D director. Aleksidze), *Lizzie Mackay* by Jean-Paul Sartre (1956, producers L. Mirtskhulava, G. Zhordania, K. Glonti, N. Gachava, R. Katsia, T. Meskhi, V. Rtskhiladze, A. Ninua, Sh. Gatserelia, N. Mtchelidze), a term production of junior students of the directing department. Apart from the sketches in question, pencil works depicting the city views deserve special mention **(ill. 2)**. The sketches of *For Honesty* (1955, director A. Gamsakhurdia) are atypical. In the background we see graphic variations of the same set composition; *The Siberian* by A. Tsagareli (1956, K director. Pataridze; premiered in 1948, with D. Tavadze as scenic designer). The sketches form but a part of the scenic design made at the institute by D. Tavadze, who was engaged with Rustaveli Theater for over 60 years (1911-1990). D. Tavadze designed over 150 theatrical productions of some of the most prominent directors across Georgia (excluding the ones at the Theatrical Institute).

Along with D. Tavadze, Mr. A. Tevzadze designed productions at the restored Theatrical Institute in 1940-1951. At the time, he made scenic design for seven plays. We mentioned *The Matchmaker* by I. Chavchavadze staged in 1940. The sketches for *Talents and Admirers* by A. Ostrovsky are dated the same year (directed by D. Aleksidze, premiered in 1941). There are also three sets sketches for term production and six drawings of characters and costumes, which highlight the artist's individuality and artistry, especially in terms of characters (these sketches have no signature). The artist's approach to *The Lawyer* produced by V. Gunia is much the same. Of the eight sketches in the museum, only one is for the set, the others depict characters portrayed using austere but impressive lines **(ill. 3)**. These sketches made for *The Dispute* by G. Eristavi, directed by A. Vasadze, are quite realistic, with focus on details (1941). The subtle and impressive coloration of the works is typical of A. Tevzadze.

In 1944-1952, Boris Loktin made scenic designs for about ten productions (The Register lists 18 plays he had worked on). In the museum there are B. Loktin's sketches for productions like *The Immortal* by A. Arbuzov, A. Gladkov (1944, director D. Alexidze), *The Last Ones* by M. Gorky (1946, director D. Alexidze). There are two set and one sketch depicting a group of characters, a composition of 12 distinctly portrayed characters. The costumes are detailed and the rhythmic gestures of the characters are accentuated. The set sketch has a number of autographs and approvals: ("Loktin, the artist,'' ''I believe the sketch is acceptable: D. Alexidze,'' "Approved, submit the cost estimate by 8/10. A. Khorava," "Academic year. Premiere.") **(ill. 4)**: *The Marriage of Figaro* by Pierre Beaumarchais (1947, director D. Alexidze, reproduced in 1951), *The Pleasant Care* by I. Jaluner (1949, director A. Mikeladze), *Someone Else's Shadow* by K. Simonov (1949, director A. Vasadze), *The Innocent Culprit*' by A. Ostrovsky (1950, director D. Aleksidze), *Voice of America* by B. Lavrenev (1950, director A. Pagava).

B. Loktin (1905-1980) worked mostly as stage designer for Griboyedov Theater since 1938. In the same capacity he worked at the restored Theatrical Institute (1939), where he designed scores of productions. He was also involved with the Russian Youth Theater. Unlike the artists above, B. Loktin's biography is the only one mentioning his work at the Theatrical Institute.

In the 1950's, I. Stenberg and P. Lapiashvili also designed the institute's productions, though most designs still belong to G. Tseradze. The register of the institute plays lists several productions designed by I. Stenberg.

Among the sketches in the collection we see those made for *The Lutonin Family* (1951) by T. and I. Piriev and *Platon Kretchet* (1951) by Al. Korneichuk **(ill. 5,6)**, both produced by A. Khorava. The sketches bear the autographs of I. Stenberg and A. Khorava. Apart from the set, the artist made 14 sketches for the *The Lutonin Family*' characters.

I. Stenberg (1903-1980) is a significant figure in scenic design. From the 1930's, she was closely involved with various theaters, mostly Griboyedov Russian Drama and the Tbilisi Theater of Musical Comedy. In her sketches, a seemingly ordinary environment is somewhat elevated, poetic. She was especially skillful in portraying characters.

Apart from the ones staged at the Theatrical Institute, she designed over 300 other productions. The artist, who started her career in 1951, designed productions in 1952, 1954, 1957, 1963, and 1968. She made scenic design for 14 Institute productions. Her works are preserved at her family collection, the National Museum of Georgia, the Museum of The History of Culture, and private collections in Georgia and abroad. As mentioned earlier, some of them are preserved at the University of Theater and Cinema.

P. Lapiashvili (1917-1994) designed the Theatrical Institute's productions in the 1950's. By then, he was already a full-fledged artist involved with the Drama and Opera Theaters. He designed ballet performances and movies (*Keto and Kote* [1948], *Magdana's Donkey* [1955], *Tsiskara* [1955], *You'll not See What You Have Seen Anymore* [1965], and others). According to the register, in 1951-1961, P. Lapiashvili designed 8 productions for the Theatrical Institute; the sketches of those put on in 1951-1954 are in the collection, namely those for *Mashenka* (1951) by A. Afinogenov (director A. Dvalishvili). Characteristically to P. Lapiashvili, out of the three set sketches, one is made with pencil, and so are the sketches for *The Last Ones* by M. Gorky (1953, director D. Alexidze), *Spring Morning'* by V. Gabeskiria (1954, director A. Vasadze) **(ill. 7.)**, *Belated Love'* by A. Ostorvsky (1954, director D. Aleksidze). There is no conventionality in the sketches from the 1950's. Owing to the detailed environment, the viewer experiences the narrative and the reality of space. As for the painted sketches, bold brushstrokes and decorativeness are striking.

P. Lapiashvili made scenic design for over 100 theatrical productions both in Georgia and abroad. Sketches made for those of the Theatrical Institute form an integral part of the works by the versatile artist.

Most of the sketches of the collection belong to G. Tseradze (1931-1987). He was the scenic designer of a bigger part of the productions (81 all all) listed in the register of the institute. As the final records in the register are dated the 1968-1969 academic year, it is evident that his works are much more numerous. A 1956 graduate of the Tbilisi Academy of Fine Arts, in 1957 he designed his first production at the Theatrical Institute, *The Soldier's Heart* (director A. Khorava). In the subsequent 22 years (until 1979), G. Tseradze was the scenic designer of the Theatrical Institute. At the same time, he was chief artist at the Youth Theater (1961-1974). He also made scenic designs for some of the productions at K. Marjanishvili and A. Griboyedov Theaters and those in Tskhinvali.

The museum collection also includes sketches for the Theatrical Institute's productions by G. Tseradze: *The Siberian* by A. Tsagareli (1957, director A. Khorava), *Jupiter Laughs* by A. Kronin (1958, director A. Mikeladze), *The Doctor In Spite of Himself by Moliere* (1957, director K. Pataridze), *The Nameless Star* by M. Sebastian (1958, director A. Tavzarashvili)—here is on interesting inscription on one of the sketches made by D. Alexidze: "Approved. Only the second act will have to be altered, the picture is to be vertically projected and the set is to be made exactly according to the sketches... In the painting style.... D. Alexidze 30.04.58'')—also *The Children of The Sun* by M. Gorky staged in 1950 (director D. Alexidze, scenography by B. Loktin). The play was reproduced in 1958 (director A. Gamsakhurdia) and 1960 (director A. Mikeladze). G. Tseradze designed both plays. *Angelo*' by V. Hugo (1958, director A. Khorava).*The Bear* by A. Chekhov (1959, director A. Pagava), *The Old Man* by M. Gorky (1959, director K. Pataridze) *Moody* by A. Tsereteli (1959, director A. Pagava), *The Crucible* by A. Miller (1960, director A. Mikeladze) **(ill. 8)**, *The Man Who Married a Dumb Wife* by A. France (1959, director A. Pagava), *Love the Greatest Enchantment* by P. Calderon (1960, director G. Gviniashvili), *The Mole* by O. Chijavadze (1960, director A. Vasadze), *Heaven and Hell* by P. Mérimée (1960, director A. Pagava), and others.

The following stage designers were engaged with Theatrical Institute in 1940-1960's: D. Tavadze, I. Gamrekeli, A. Tevzadze, B. Loktin, S. Virsaladze, P. Lapiashvili, I. Stenberg, Iv. Askurava, G. Totibadze, G. Tseradze, T.

Gotsadze, E. Doncova, A. Jemilishvili, G. Gunia, and T. Samsonadze. According to the register records, the students of the Academy of Fine Arts also designed term and graduate plays.

The sketches of the collection made for term and graduation plays, which vary in terms of number, chronology and typology, are presently under study. Therefore, more names of artists and new works may come up. What makes the collection significant for the history of Georgian scenography is that it has not been investigated yet. It allows us to look into the nearly centennial history of the University of Theater and Cinema and analyze its traditions and best practices.

REFERENCES:

1. Belashvili T., *Artistic Characteristics of Georgian Set Design of the 20th century According to the Performances at Rustaveli Theater, Rustaveli Theater Set Design 1950-2000*, Tbilisi, 2019, pp. 7-36
2. დარჩია ქ., ირინე შტენბერგი, 2014, ჰტტპ://ფემინისმ-ბოელლ.ორგ/კა/2014/06/06/ირინა-სჰტენბერგი
3. ელიზბარაშვილი ნ., საქართველოს რუსი მხატვრები XX საუკუნე, თბილისი, 2007
4. თუმანიშვილი ე., შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუზეუმში დაცული კოლექციის ზოგადი დახასიათებისათვის (XX ს-ის 20-40-იანი წლების ესკიზები), "ARS GEORGICA", ელექტონული ჟურნალი, 2015 http://www.georgianart.ge/index.php/ka/2010-12-03-16-25-41/177--xx-20-40-.html
5. ციციშვილი მ., ჭოღოშვილი ნ., ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია XVIII-XX საუკუნეები, თბილისი, 2013
6. Tsitsishvili M., *Scene Painting 1920-1950, Collection of Rustaveli Theater*, Tbilisi, 2008
7. Chogoshvili N., *Scene painting, Collection of Kote Marjanishvil Theater*, Tbilisi, 2006
8. Русский театр в Грузии 170, Тбилиси, 2015